

# ეიზარ ან/და რეკრუტმენტის პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების

## დანართი N 2 - ეიზარ და რეკრუტმენტის პროდუქტები

### პროდუქტი: კადრების შერჩევა - რეკრუტმენტი / ჰედჰანთინგი

#### (ა) მომსახურების საგანი

რეკრუტმენტი / ჰედჰანთინგი-ს მომსახურების ფარგლებში, HRR A კისრულობს ვალდებულებას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე და ქართულ შრომით ბაზარზე მოიძიებს / შეარჩევს ერთ ან რამდენიმე პირს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს კომპანიის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს, კომპანიის მიერვე განსაზღვრული პოზიცი(ებ)ის დასაკავებლად. ამავე მომსახურების გაწევის ფარგლებში, HRR A, მათ შორის, გაუწევს კონსულტაციას კომპანიას ვაკანტური პოზიციის განსაზღვრაში, საჭიროებების შეფასებასა და პოზიციის დეტალური აღწერილობის მომზადებაში.

#### (ბ) პროცესი და ვადები

HRR A-ს მიერ გაწეული მომსახურება მოიცავს კანდიდატების მოძიებას ან/და გადმოხიზვას კომპანიის სასარგებლოდ დაკვეთის შესაბამისად.

რეკრუტმენტი / ჰედჰანთინგი მომსახურების დაიწყება ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად და HRR A-ს მიერ შორთლისტისა და თავსებადობის რეპორტის კომპანიისთვის გაგზავნის ვადა, მისი დაწყების მომენტიდან არის 5 - 7 სამუშაო დღე.

კომპანია განიხილავს წარდგენილ კანდიდატებს ვაკანტურ პოზიციაზე და წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, წერილობით ატყობინებს HRR A-ს პროცესის შემდგომი მიმართულების შესახებ. კომპანია და HRR A გააგრძელებენ თანამშრომლობას, რათა უმოკლეს ვადებში დასრულდეს პროცესი, მას შემდეგ რაც კომპანია მიიღებს შორთლისტსა და თავსებადობის რეპორტს.

რეკრუტმენტი / ჰედჰანთინგი-ს მომსახურების სრული პროცესი, მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებსა და ნაბიჯებს:

- ვაკანსიის განსაზღვრა და კლიენტის საჭიროებების შეფასება, კონსულტაცია
- შერჩევის გეგმის მომზადება, კანდიდატების მოძიება
- კანდიდატების გასაუბრებების ჩატარება /ტესტირება (საჭიროებისას) / ანალიზი და შორთლისტის შედგენა
- რეკომენდაციების შემოწმება
- თავსებადობის რეპორტის მომზადება
- შერჩეულ კანდიდატებთან საბოლოო ინტერვიუს ორგანიზება
- ინტერვიუზე დასწრება და ინტერვიუს მხარდაჭერა
- უკუკავშირი და შედეგების განხილვა
- სამუშაო შეთავაზების მომზადება და მხარეების მიერ მისი ხელმოწერა

#### (გ) მნიშვნელოვანი დებულებები

კომპანიის მიერ HRR A-სთვის კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, უდავოა, რომ კანდიდატი შერჩეულია HRR A-ს მიერ, რაც ნიშნავს, რომ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში, კომპანიის მიერ კანდიდატთან შრომითი ურთიერთობის (ნებისმიერი გზით დასაქმება მომსახურების ან/და სასამსახურო ხელშეკრულების ჩათვლით) დაწყების შემთხვევაში კომპანიას წარმოეშვება ვალდებულება, გადაუხადოს HRR A-ს მომსახურების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესითა და ოდენობით.

იმ შემთხვევაში, თუკი პროექტის ნებისმიერ ეტაპზე კომპანიამ მოახდინა მის მიერ დადასტურებული ინფორმაციის ან/და დაკვეთის ერთი ან რამდენიმე კრიტერიუმის ცვლილება, აღნიშნული განიხილება მანამდე არსებული დაკვეთის გაუქმებად და ჩაითვლება ახალი დაკვეთად.

რეკრუტმენტი / ჰედჰანთინგი-ს მომსახურების დასრულების დასტურად მხარეები აფორმებენ ამ ხელშეკრულების დანართი #4-ით დადგენილ შეთავაზებას.

## პროდუქტი: კადრების შერჩევა - საერთაშორისო რეკრუტმენტი / ჰედჰანთინგი

### (ა) მომსახურების საგანი

საერთაშორისო რეკრუტმენტი / ჰედჰანთინგი-ს მომსახურების ფარგლებში, HRRRA კისრულობს ვალდებულებას, რომ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მოიძიებს / შეარჩევს ერთ ან რამდენიმე პირს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს კომპანიის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს, კომპანიის მიერვე განსაზღვრული პოზიცი(ებ)ის დასაკავებლად. ამავე მომსახურების გაწევის ფარგლებში, HRRRA, მათ შორის, გაუწევს კონსულტაციას კომპანიას ვაკანტური პოზიციის განსაზღვრაში, საჭიროებების შეფასებასა და პოზიციის დეტალური აღწერილობის მომზადებაში.

### (ბ) პროცესი და ვადები

HRRRA-ს მიერ გაწეული მომსახურება მოიცავს საზღვარგარეთ კანდიდატების მოძიებას ან/და გადმოხიზვას კომპანიის სასარგებლოდ დაკვეთის შესაბამისად.

საერთაშორისო რეკრუტმენტი / ჰედჰანთინგით მომსახურებისას თავსებადობის რეპორტისა და პროფესიული შეფასების რეპორტის მომზადების ვადა არის პროექტის დაწყების მომენტიდან 12 - 15 სამუშაო დღე.

კომპანია განიხილავს HRRRA-ს მიერ წარდგენილ კანდიდატებს ვაკანტურ პოზიციაზე და წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, წერილობით ატყობინებს HRRRA-ს პროცესის შემდგომი მიმართულების შესახებ. კომპანია და HRRRA გააგრძელებენ თანამშრომლობას, რათა უმოკლეს ვადებში დასრულდეს პროცესი.

საერთაშორისო რეკრუტმენტი / ჰედჰანთინგი-ს მომსახურება საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. პროდუქტის სრული პროცესი, მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს და ნაბიჯებს:

- ვაკანსიის განსაზღვრა და კლიენტის საჭიროებების შეფასება, ანალიზი და ჩამოყალიბება
- სფეროს / ინდუსტრიის ანალიზი და პოტენციალის განსაზღვრა
- პოზიციის დეტალური აღწერილობის მომზადება
- კანდიდატების მოძიება
- კანდიდატების გასაუბრებების ჩატარება დისტანციურად / ტესტირება (საჭიროებისას) / ანალიზი და შორთლისთვის შედგენა
- რეკომენდაციების შემოწმება
- თავსებადობის რეპორტის მომზადება
- პროფესიული შეფასების რეპორტის მომზადება
- შერჩეულ კანდიდატებთან ინტერვიუს ორგანიზება
- უკუკავშირი და შედეგების განხილვა
- სამუშაო შეთავაზების მომზადება და მხარეების მიერ მისი ხელმოწერა

### (გ) მნიშვნელოვანი დებულებები

კომპანიის მიერ HRRRA-სთვის კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში უდავოა, რომ კანდიდატი შერჩეულია HRRRA-ს მიერ, რაც ნიშნავს, რომ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ შემთხვევებში კომპანიის მიერ კანდიდატთან შრომითი ურთიერთობის *(ნებისმიერი გზით დასაქმება მომსახურების ან/და სასამსახურო ხელშეკრულების ჩათვლით)* დაწყების შემთხვევაში კომპანიას წარმოეშვება ვალდებულება გადაუხადოს HRRRA-ს მომსახურების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით და ოდენობით.

იმ შემთხვევაში, თუკი კომპანიის დამუშავების ნებისმიერ ეტაპზე კომპანიამ მოახდინა მის მიერ დადასტურებული ინფორმაციის ან/და დაკვეთის ერთი ან რამდენიმე კრიტერიუმის ცვლილება, აღნიშნული განიხილება მანამდე არსებული დაკვეთის გაუქმებად და ჩაითვლება ახალი დაკვეთად.

საერთაშორისო რეკრუტმენტი / ჰედჰანთინგი-ს მომსახურების დასრულების დასტურად მხარეები აფორმებენ ამ ხელშეკრულების დანართი #4-ით დადგენილ შეთავაზებას.

## პროდუქტი: ეიჩარ ასისტანსი

### (ა) მომსახურების საგანი

ეიჩარ ასისტანსის მომსახურების ფარგლებში, HRRR კისრულობს ვალდებულებას, რომ კანდიდატის მოძიების / შერჩევის მიზნით იმოქმედებს ისე, როგორც კომპანიის ადამიანური რესურსების ფუნქცია, კომპანიის სახელით, ლიმიტირებული (კომპანიის მიერ განსაზღვრული) ფუნქციითა და ფარგლებით, ისე როგორც გაწერილია მომდევნო პუნქტში.

### (ბ) პროცესი და ვადები

ეიჩარ ასისტანსის მომსახურება დაიწყება ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად და დასრულდება 5 დან 10 სამუშაო დღემდე პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კომპანია საკუთარი ვალდებულებების ნაწილში არ დაუშვებს დადგენილზე მეტი დროის გამოყენებას.

ეიჩარ ასისტანსი მომსახურების სრული პროცესი, მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებსა და ნაბიჯებს:

- ვაკანსიის განსაზღვრა და კლიენტის საჭიროებების შეფასება
- პოზიციის დეტალური აღწერილობის მომზადება და ვაკანსიის ტექსტის შედგენა
- ვაკანსიის გამოქვეყნების, სხვადასხვა არხებით გავრცელებისა და სარეკლამო კამპანიის დაგეგმვა
- ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გავრცელება და შედეგების მონიტორინგი
- მონაცემთა ბაზაში რეზიუმეების მოძიება
- გამოხმაურებული მონაცემთა ბაზაში მოძიებული რეზიუმეების ანალიზი, შორთლისთინგი
- ეიჩარ ასისტანს რეპორტის მომზადება და კლიენტისთვის მიწოდება
- ინტერვიუების დაგეგმვა / უზრუნველყოფა
- ინტერვიუების პროცესის ადმინისტრირება და ინტერვიუს პროცესში ასისტირება *(მომსახურება მოიცავს გასაუბრების ოთახის გამოყოფას HRRR-ს ოფისში)*
- ინტერვიუების ანალიზი და შეფასებაში კონსულტაცია
- კანდიდატის შერჩევის პროცესში კონსულტაცია
- უკუკავშირი და შედეგების განხილვა
- მომსახურების დასრულების შეტყობინების კომპანიაზე გაგზავნა

### (გ) მნიშვნელოვანი დებულებები

იმ შემთხვევაში, თუკი კომპანიის დამუშავების ნებისმიერ ეტაპზე კომპანიამ მოახდინა მის მიერ დადასტურებული ინფორმაციის ან/და დაკვეთის ერთი ან რამდენიმე კრიტერიუმის ცვლილება, აღნიშნული განიხილება მანამდე არსებული დაკვეთის გაუქმებად და ჩაითვლება ახალი დაკვეთად.

ეიჩარ ასისტანსის მომსახურების დასრულება ინტერვიუსა და შეფასების კონსულტაციით, და მომსახურების გაწევის დასრულების დასტურად HRRR კომპანიას გაუგზავნის ამ დანართი #5-ით დადგენილ მომსახურების დასრულების შეტყობინებას.